

წილის სექტორის საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც ხელს უწყობს თემის განვითარებას

ჯეიმს ოტო

აბსტრაქტი

წილისეულის მოპოვების პროექტს ლიმიტირებული ხანგრძლივობა აქვს - პროექტი სრულდება წილისეულის ამოწურვისთანავე. მთავრობებს დისკრეცია გააჩნიათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზნის მიღწევა სურთ პროექტის მანძილზე; დასახული ამოცანების მისაღწევად კი რეგულატორული თუ სხვა ტიპის მექანიზმები გააჩნიათ. ისტორიულად, მათ უპირველეს მიზანს ექსტრაქტივისტული პროექტიდან ფისკალური შემოსავლების მიღება, ასევე, საზოგადოების სასარგებლოდ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის უფრო მსხვილი პროექტების გამოყენება წარმოადგენს. უკანასკნელ პერიოდში, მთავრობები ცდილობენ, ადგილობრივი თემებისთვის სარგებელს მიაღწიონ არა მხოლოდ უმოკლეს ვადებში - წილისეულის მოპოვების პარალელურად, არამედ უზრუნველყონ ამგვარი სარგებლის მდგრადობა. არაერთი მსხვილი პროექტი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებს, რომლებიც, როგორც წესი, მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები თემებისთვის სარგებელს ითვალისწინებს. კანონმდებლობაში მთავრობები სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ წილისეულის მოპოვებითი ინდუსტრიების ვალდებულებას, პროექტებით მოიცვან თემის განვითარების პროგრამები და უფრო ნაკლებად ეყრდნობიან ნებაყოფლობით ძალისხმევებს.

32.1. ამოწურვადი რესურსებით წარმართული განვითარების პროცესის გამოწვევები

ამოწურვადი რესურსების მახასიათებელი იმაში მდგომარეობს, რომ წილისეულის მოპოვების პროექტს ლიმიტირებული ხანგრძლივობა აქვს, ხოლო წილისეულის ამოწურვისთანავე პროექტი სრულდება. მთავრობებს დისკრეცია გააჩნიათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზნის მიღწევა სურთ პროექტის მანძილზე; დასახული ამოცანების მისაღწევად კი რეგულატორული თუ სხვა ტიპის მექანიზმები გააჩნიათ. ისტორიულად, მათ უპირველეს მიზანს ექსტრაქტივისტული პროექტიდან ფისკალური შემოსავლების მიღება, ასევე, საზოგადოების სასარგებლოდ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის უფრო მსხვილი პროექტების გამოყენება წარმოადგენს. უკანასკნელ პერიოდში, მთავრობები ცდილობენ, ადგილობრივი თემებისთვის სარგებელს მიაღწიონ არა მხოლოდ უმოკლეს ვადებში - წილისეულის მოპოვებითი საქმიანობების მიმდინარეობის პარალელურად, არამედ უზრუნველყონ ამგვარი სარგებლის მდგრადობა. მოპოვების, სასარგებლო წილისეულისა და მდგრადი განვითარების (MMSD) პროექტის მიხედვით:

ადგილობრივ დონეზე მდგრადი განვითარება გულისხმობს ადგილობრივად განსაზღვრული სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მიზნების გრძელვადიან პერსპექტივაში მიღწევას. მაღაროსა და თემს შორის ინტერაქცია სასარგებლო უნდა იყოს (და არა პირიქით)

ფიზიკური, ფინანსური, ადამიანური და ინფორმაციული რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით. პრობლემურია იმის მიღწევა, რომ როგორც ადგილობრივები, ისე პროექტის ხელშემწყობები ამგვარ ინტერაქციებს პოზიტიურ კონტექსტში აფასებდნენ. ასევე პრობლემურია იმის უზრუნველყოფა, რომ თემების განვითარება მათივე ხედვის შესაბამისად განხორციელდეს. თემის განვითარება, შესაძლოა, თავის მხრივ, მაგალითად, სოციალური სერვისების მიწოდების, შემოსავლის უზრუნველყოფისა თუ უნარების განვითარების გზით განხორციელდეს.

(MMSD 2002: 198)

მრავალი მსხვილი პროექტი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პროგრამებს, რომლებიც, როგორც წესი, მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები თემებისთვის სარგებელს ითვალისწინებს. ზოგიერთ შემთხვევებში, მსგავსმა პროგრამებმა შეიძლება გაითვალისწინოს თემებთან სავალდებულო ხელშეკრულებების ან უფრო არაფორმალური წერილობითი შეთანხმებების არსებობა, როგორცაა, მაგალითად, სამართლებრივად არამბოჭავი ურთიერთგაგების მემორანდუმი. კანონმდებლობაში მთავრობები სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ წიაღისეულის მოპოვებითი ინდუსტრიების ვალდებულებას, პროექტებით მოიცვან თემის განვითარების პროგრამები და უფრო ნაკლებად ეყრდნობიან ნებაყოფლობით ძალისხმევებს.

მარეგულირებლების მიერ სათემო დონეზე სარგებლის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება მომპოვებელი კომპანიებისათვის თემის განვითარების შეთანხმებების (CDA) დადების მოთხოვნა შეიძლება იყოს. ყველა ის მთავრობა, რომელიც სავალდებულოდ ითვალისწინებს სათემო განვითარების პროგრამების არსებობას, არ მოითხოვს თემის განვითარების შეთანხმებების დადებას; თუმცა, ამგვარი შეთანხმებები შეიძლება სასარგებლო მიდგომად ჩაითვალოს - იგი როგორც პროექტს, ისე თემს უზრუნველყოფს პროექტთან დაკავშირებული განვითარების მახასიათებლების განსაზღვრის ორმხრივად შეთანხმებული საშუალებებით იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს მოლოდინების მართვას. მოცემული **სტატია** მიმოიხილავს თემის განვითარების შეთანხმებების ერთ ასპექტს - კანონმდებლობას, რომელიც შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ამგვარ შეთანხმებებთან დაკავშირებული მოთხოვნების რეგულირებისთვის. თემის განვითარების შეთანხმებების კონცეფცია - შეთანხმება ეკონომიკურ საწარმოსა და საზოგადოებას შორის - შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ისე ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორებში; თუმცა, ამჟამად, ამგვარი შეთანხმებები წიაღისეულის მოპოვების პროექტებში ხშირად, ხოლო ნავთობის სექტორში კი იშვიათად გამოიყენება. მოცემულ **სტატიაში** აქცენტი სწორედ წიაღისეულის მომპოვებელ სექტორში არსებულ თემატურ კანონმდებლობაზე კეთდება.

ტერმინი - „თემის განვითარების შეთანხმება“ - ზოგჯერ ფართო გაგებითაც გამოიყენება, თუმცა მოცემული **სტატიის** მიზნებისთვის, ამგვარი შეთანხმების არსი ვიწროდაა განმარტებული; კერძოდ, ესაა „სამართლებრივად მბოჭავი ხელშეკრულება, რომელიც მიემართება თემის განვითარების საკითხებს და იდება, ერთი მხრივ, წიაღისეულის მოპოვების უფლებამოსილების

მქონესა და, მეორე მხრივ, თემს (ან თემებს) შორის, რომლებზეც ზეგავლენას მოახდენს ზემოხსენებული მოპოვებითი უფლებების განხორციელება“.

32.2. მთავრობისა და ინვესტორების როლი თემის განვითარებაში

მთავრობისა და მომპოვებელი კომპანიების როლი თემის განვითარების მიმართულებით კომპლექსურია, ხოლო მისი შინაარსი ქვეყნებისა და პროექტების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაღაროების მიერ თემის განვითარების ხელშეწყობის პრაქტიკა შეიძლება გამოიხატოს კომპანიების ქალაქების (company towns) მშენებლობით, **ინფრასტრუქტურული ობლიგაციების გარანტიებით**, ქონების ადგილობრივ დონეზე დაწესებული გადასახადის გადახდით, სკოლებისა და კლინიკების მშენებლობით, ადგილობრივი საწარმოების დაფინანსებითა და გადამზადებით უზრუნველყოფით, ასევე, საქონლის, მომსახურებისა და მუშახელის ადგილობრივი უზრუნველყოფის მხარდაჭერით. საკითხი, თუ რამდენად უნდა ჩაითვალოს თემის განვითარება მთავრობის ან კერძო სექტორის უპირველეს ვალდებულებად, პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში დიდხინიანი დებატების საგანია.¹ არგუმენტის მთავარ საფუძველს მდგრადობის საკითხი წარმოადგენს: მოპოვების ადგილის დახურვის შემდგომ მომპოვებელი ადგილიდან მიდის, ხოლო მთავრობა რჩება - შესაბამისად, დაგეგმვის მათეული ჰორიზონტები და გრძელვადიანი მიზნები, შესაძლოა, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. ამასთან, მომპოვებლები არიან წიაღისეულის მოპოვების სფეროს ექსპერტები, მაშინ, როდესაც მთავრობებს აქვთ გამოცდილება ჯანდაცვის, განათლებისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. ისტორიულად, მომპოვებლები ადგილობრივ მოსახლეობას განიხილავდნენ იმ კუთხით, თუ როგორ შეეძლო თემს, მომსახურებოდა წიაღისეულის მოპოვების ადგილს - მაგალითად, მუშახელისა და საცხოვრისების წყაროს ფორმით - და არა იმ ჭრილში, თუ როგორ შეეძლო მოპოვების ადგილს, თემისთვის სასარგებლო ყოფილიყო, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, არამდგრადი, ანკლავების ტიპის განვითარების საფუძველი ხდებოდა. მიუხედავად აკადემიური დისკუსიისა იმის შესახებ, თუ რომელი აქტორის - მთავრობისა თუ მომპოვებლის - უპირველესი ვალდებულებაა თემის განვითარება, პრაქტიკაში, როგორც წესი, აღნიშნული საკითხი თემს ნაკლებად აღელვებს იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის სასარგებლო განვითარების ღონისძიებები ხორციელდება:

რამდენიმე სფერო წარმოადგენს იმაზე უფრო დიდ გამოწვევას, ვიდრე მომპოვებელ კომპანიებსა და ადგილობრივ თემებს შორის ურთიერთობა... საზოგადოების ფართოდ გავრცელებული მოთხოვნები სასარგებლო წიაღისეულის სიმდიდრიდან რელევანტური, პირდაპირი და მდგრადი სარგებლის შესახებ შედარებით ახალ ფენომენს წარმოადგენს, შესაბამისად, ხშირად არც სამთავრობო დაწესებულებები, არც კომპანიები და არც თვითონ თემები აღნიშნულ მოთხოვნებზე რეაგირებისათვის სათანადოდ აღჭურვილნი არ არიან. სუსტი მმართველობის პირობებში, თემები ხშირად მიმართავენ მოქმედ კომპანიებს, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, განვითარების სერვისებს უზრუნველყოფენ იმისათვის, რათა მიიღონ ან შეინარჩუნონ სოციალური ლიცენზია. ჩამოყალიბებას იწყებს ახალი ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება თემების უფლებებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის მონაწილეობის აუცილებლობის აღიარებას. დამატებით, ახალი ინიციატივები მიზნად

ისახავს, თავიდან აიცილოს კომპანიის მხრიდან მთავრობის როლისა და პასუხისმგებლობების აღება; ამის ნაცვლად, იგი ფოკუსირებულია ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა ადგილობრივი ინსტიტუციების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა მათ, გრძელვადიან პერსპექტივაში, წიაღისეულის მოპოვებიდან მიღებული სარგებლის უზრუნველყოფა შეძლონ.

(MMSD 2002: xix)

სამართლებრივი სისტემა შესაძლოა, თემის განვითარების პროცესში მომპოვებელი კომპანიების როლების განსაზღვრისათვის იქნას გამოყენებული. არამდგრად ქვეყნებში თემის განვითარების შეთანხმებების მოთხოვნას შესაძლოა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს. როდესაც ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეუძლია ან არ სურს, თემის განვითარებისათვის ფინანსები გამოყოს, ამგვარ შეთანხმებას სხვაგვარად მიუწვდომელი განვითარების შესაძლებლობების გაჩენის რესურსი აქვს. განვითარების მიმართულებით მთავრობისა და მომპოვებლის როლების ბალანსი თემის განვითარების შეთანხმების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების პროცესის გამოწვევას წარმოადგენს. იდეალურ შემთხვევაში, თემის განვითარების შეთანხმებით გათვალისწინებულმა განვითარების ღონისძიებებმა უნდა შეავსოს მთავრობის ხელმძღვანელობით მიმდინარე განვითარების პროცესი და არ მოახდინოს ამ უკანასკნელის ჩანაცვლება.

32.3 ნებაყოფლობითი და სავალდებულო მიდგომები

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გადაწყვეტს, რომ მომპოვებელმა კომპანიებმა თემის განვითარებაში როლი შეასრულონ, მან, შესაძლოა, აღნიშნული როლის შესრულება ნებაყოფლობით მიდგომებს დააფუძნოს ან სავალდებულო მოთხოვნები დააწესოს. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიო მასშტაბით წიაღისეულის მოპოვების არაერთი პროექტი განხორციელდა, რომლებმაც, თემის წინააღმდეგობის გამო, ვერ შეძლო აღმოჩენის ეტაპიდან განვითარების ფაზაზე გადასვლა. ხშირად, ჩამოყალიბებული პროექტის შემთხვევაშიც კი, მან, შესაძლოა საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიოს, თუ ადგილობრივების ამჟამინდელი და სამომავლო მოლოდინები არ იქნება დაკმაყოფილებული. ზემოაღნიშნულმა საკითხმა გლობალური მასშტაბით მომუშავე მომპოვებელი კომპანიები აიძულა, უფრო მეტი ყურადღება გაემახვილებინათ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებზე, მათ შორის, თემის განვითარებაზე. დამატებით, მომპოვებელ სექტორში მომუშავე ორგანიზაციებმა, მაგალითად, ლითონებისა და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭომ (ICMM), გასწიეს ძალისხმევა, რათა თემის განვითარების ნაწილში კარგი პრაქტიკის განსაზღვრისთვის ხელი შეეწყოს. 2003 წელს, საბჭომ თავის წევრები მოაქცია ათი პრინციპისგან შემდგარ, მდგრადი განვითარების ჩარჩოში, მათ შორისაა, „9. წვლილი შევიტანოთ იმ თემის სოციალურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ განვითარებაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ“.²

ზემოაღნიშნული ვალდებულებების მხარდასაჭერად, ორგანიზაციამ შეიმუშავა მისი წევრების მიერ ნებაყოფლობითად შესასრულებელი მთელი რიგი დამხმარე ინსტრუმენტები, მათ შორის: მითითებების ნაკრები თემის განვითარების სფეროში (Community Development Toolkit (ICMM

2005, 2012)) და მითითებების ნაკრები განვითარებისათვის თანამშრომლობის სფეროში (Partnerships for Development Toolkit (ICMM 2011)). პირველ მათგანს დეტალურად მიმოიხილავს და აფასებს მაკდონალდი (2017).

კომპანიებზე დაყრდნობა, რომ ისინი სათემო განვითარებას ნებაყოფლობით შეუწყობენ ხელს, სარისკოა - ყველა კომპანია არ წარმოადგენს „კარგ“ კორპორაციულ სუბიექტს და ყველა მათგანს არ აქვს ინფორმაცია, თუ როგორც განახორციელოს ამგვარი მხარდაჭერა. ამ და სხვა მიზეზების გამო, მთავრობების მზარდი რაოდენობა ნაკლებად ეყრდნობა ნებაყოფლობით მიდგომებს და წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობით ითვალისწინებს თემის განვითარების შეთანხმებებისა თუ თემის განვითარების სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კომპანია გაზრდილი რეგულაციების კონცეფციას ეწინააღმდეგება და ურჩევნია, სასურველ შედეგებს თავისი ხედვის შესაბამისად მიაღწიოს, ბევრი მათგანი თემის განვითარების შეთანხმებების არსებობას (მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სავალდებულოა აღნიშნული შეთანხმებები კანონმდებლობით) არ შეეწინააღმდეგებოდა, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს თემის მოლოდინების მართვისათვის.

თემის განვითარებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოთხოვნების გამოყენება არ გამორიცხავს ნებაყოფლობითი პროგრამების არსებობას და ისინი არ შეიძლება, მიჩნეულ იქნან ურთიერთგამომრიცხავ კონცეფციებად. ჰიბრიდული მიდგომები, რომელიც აერთიანებს სავალდებულო ელემენტებსა და ნებაყოფლობით აქტივობებს, იშვიათობას არ წარმოადგენს.³ ქვეყნებში წიაღისეულის მოპოვების ან გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიერ თემის განვითარების მოთხოვნა შეიძლება იყოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის მთავარი ან შემავსებელი ელემენტი. ანალოგიურად, კანონმდებლებს შეუძლიათ, ნებაყოფლობითი ინიციატივებიდან წარმოშობილი კონცეფციები გამოიყენონ. მაგალითად, თემის განვითარების შეთანხმების სამოდელო რეგულაციების შემუშავებისას, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნდა (Otto 2010), ავტორმა გაითვალისწინა თემის განვითარების სფეროში ლითონებისა და სამთო-მოპოვებითი მრეწველობის საერთაშორისო საბჭოს (ICMM) მითითებების ნაკრები (Community Development Toolkit) და გააანალიზა თემის განვითარების ამჟამინდელი, „ნებაყოფლობითი ხასიათის“, შეთანხმებები. პოლიტიკის შემქმნელებს, რეგულაციების მიღებაზე პასუხისმგებლებს, ბენეფიციარებსა და რეგულირებას დაქვემდებარებულებს შორის გარკვეული დონის კონსენსუსის მიღწევის უნარი ისეთ საკითხებზე, როგორცაა, ამოცანები, პროცესები და კარგი პრაქტიკა, კარგი კანონმდებლობის მახასიათებელს წარმოადგენს.

32.3.1. სამართლებრივი მანდატები: საკანონმდებლო აქტები და წიაღისეულის მოპოვების სახელმწიფო შეთანხმებები

მთავრობებს გააჩნიათ ორი ძირითადი გზა, რომლითაც კერძო სექტორზე თემის განვითარების მიმართულებით სამართლებრივ ვალდებულებებს დააწესებენ; ესენია სახელმწიფო ხელშეკრულებები და სტატუტები. სახელმწიფო ხელშეკრულება არის კონტრაქტი მოპოვების უფლების მქონე სუბიექტსა და მთავრობას შორის და ადგენს მხარეთა ურთიერთშეთანხმებულ

ვალდებულებებსა და უფლებებს. პოსტკოლონიურ ეპოქაში, 1990-იან წლებამდე, განვითარებად ქვეყნებში, მსხვილ პროექტებთან მიმართებით მსგავსი შეთანხმებების გამოყენების ხშირი პრაქტიკა არსებობდა, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მათი გამოყენება შემცირდა, იმდენად, რამდენადაც მოპოვების სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო (მაგალითად, მოპოვებასთან, გარემოს დაცვასთან, შრომასთან და საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებული რეგულაციები) გაუმჯობესდა, რამაც უშუალოდ პროექტებით გათვალისწინებული შეთანხმებების არსებობის საჭიროება მოხსნა. დროთა განმავლობაში, შეთანხმებებში არსებული დებულებები შესაძლოა, კანონმდებლობაში აისახოს. მაგალითისთვის, 2006 წელს გვინეამ წიაღისეულის მოპოვების შეთანხმების სამოდელო ვერსია შეიმუშავა, რომელიც ვრცლად მოიცავდა თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებულ დებულებებს. 2011 წელს მან ასევე შემოიღო წიაღისეულის მოპოვების სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობა, რომელიც თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებით მსგავს მოთხოვნებს მოიცავდა და მომავალში დასადები შეთანხმებების მიერ აღნიშნული საკითხის რეგულირების პრევენციას ახდენდა (AMLA n.d.a). გვინეის მსგავსად, წიაღისეულის მოპოვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში თემის განვითარების მოთხოვნები სხვა ქვეყნებმაც გაითვალისწინეს. შოტისა და სხვების (2015) მიხედვით:4 „1980-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, წიაღისეულის მოპოვების კოდექსებში თემის განვითარების დებულებების ინტეგრირება 32-მა ქვეყანამ მოახერხა, ხოლო აღნიშნულ პროცესში ამჟამად 9 ქვეყანა იმყოფება“ (Schott et al. 2015).

32.1 ცხრილი ჩამოთვლის ქვეყნებს, რომელთა წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობა (ან სამოდელო შეთანხმება) თემის განვითარებისკენ მიმართულ გარკვეულ ქმედებას მოითხოვს. მოცემული სია მოიცავს თემის განვითარებასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან მოთხოვნებს, რომელთაგანაც ყველა არ გულისხმობს თემის განვითარების შეთანხმებას იმ ფორმით, რომელიც მოცემული თავის მიზნებისთვის არის განმარტებული. იმ მკითხველებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ცხრილში მოცემული ქვეყნების უმრავლესობაში თემის განვითარების სპეციფიკური მოთხოვნების მოკლე აღწერით, ავტორი რეკომენდაციას უწევს პენაგოსსა და სხვებს (2014). 32.1 ცხრილში მოცემული აფრიკული ქვეყნების წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობა, მათ შორის, თემის განვითარების მოთხოვნები, მისაწვდომია აფრიკის მოპოვებითი კანონმდებლობის ატლასის მეშვეობით (AMLA n.d.b).

ცხრილი 32.1. ქვეყნები, სადაც თემის განვითარების კომპონენტის არსებობა კანონმდებლობით ან შეთანხმებით არის მოთხოვნილი

ქვეყანა	ქვეყანა
ავღანეთი	ლიბერია
ბუგენვილის ავტონომიური რეგიონი	მალი
ბურკინა-ფასო (პროცესში)	მალავი (პროცესში)
კანადა (სხვადასხვა სუბნაციონალური იურისდიქცია)	მონღოლეთი

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	მოზამბიკი
ჩინეთი	მიანმარი (პროცესში)
კოლუმბია	ნამიბია
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	ნიკარაგუა
ეკვადორი	ნიგერი
ეკვატორული გვინეა	ნიგერია
ერიტრეა	ომანი
ეთიოპია	პაპუა-ახალი გვინეა
ფიჯი (პროცესში)	პერუ
განა	ფილიპინები
გვატემალა	სიერა-ლეონე
გვინეა	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
ინდოეთი	სამხრეთი სუდანი
ინდონეზია	ტოგო
ყაზახეთი	ვიეტნამი
კენია	იემენი
ყირგიზეთი	ზიმბაბვე
ლაოსი	

წყარო: დუპუი (2014), პენაგოსი და სხვები (2014), და ავტორის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროექტი, რომელიც თემის განვითარების შეთანხმებას უკავშირდება.

32.3.2 მსოფლიო ბანკის სამოდელო რეგულაციები თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებით და შემდგომი გაუმჯობესებები

თემის განვითარების შეთანხმებების მიმართ მზარდი ინტერესისა და წიაღისეულის მოპოვების პროექტებში მათი გამოყენების გათვალისწინებით, 2010 წელს, მსოფლიო ბანკმა წამოიწყო მრავალწლიანი სპეციალიზებული კვლევითი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა თემის განვითარების შეთანხმებების ბუნებისა და გამოყენების შესწავლას და მთავრობებისთვის, ინდუსტრიისთვის, თემებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და სახელმძღვანელო მითითებების მიწოდებას. სამუშაოები რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. საწყის ეტაპზე მსოფლიოს მასშტაბით თემის განვითარების არსებული შეთანხმებებისა და წიაღისეულის მოპოვების ინდუსტრიების თემატური ინიციატივების შესწავლა განხორციელდა. თემის განვითარების უზრუნველყოფი და მოპოვებასთან დაკავშირებული ფუძემდებლური საკითხების იდენტიფიცირებისათვის კონცეპტუალური ჩარჩო შემუშავდა. ეს ჩარჩო შემდგომ გამოყენებულ იქნა თემის განვითარების შეთანხმებების სამოდელო რეგულაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების პირველადი ვერსიის შემუშავების პროცესში, რომლებიც წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობაში გამოსაყენებლად იქნებოდა რელევანტური. პროექტის მეორე ეტაპი მოიცავდა დაინტერესებულ მხარეთა მრავალფეროვან სპექტრთან ფართო კონსულტაციებს, მათ შორის, რეგულაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების პროექტების განხილვას. პირველადი სამუშაოების შემდგომ სავლელე კვლევა

განხორციელდა, რომლის მიზანი იყო, შერჩეულ ქვეყნებში თემის განვითარების პრაქტიკის შეფასება და პირველადი ეტაპების შედეგების ანალიზი. ბოლო ეტაპზე განხორციელებული კვლევა შეეხო თემის განვითარების შეთანხმებების მოლაპარაკების, სტრუქტურისა და განხორციელების პროცესებსა და ჩარჩოებს. პროექტის დასასრულს, თემის განვითარების შეთანხმებებთან დაკავშირებით მრავალტომიანი სახელმძღვანელო გამოიცა (World Bank 2012).⁵ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო საკითხთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციისა და შემთხვევების ერთ-ერთ ყველაზე ყოვლისმომცველ წყაროდ რჩება.

მსოფლიო ბანკის ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ, მოცემული **სტატიის** ავტორი არაერთ ქვეყანას დაეხმარა წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობის შემუშავებასა თუ ცვლილებაში. აფრიკის, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისათვის წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობისა და შესაბამისი რეგულაციების, მათ შორის, თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებული დებულებების, შემუშავების სფეროში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ავტორმა განაახლა და გააუმჯობესა წიაღისეულის მოპოვების სამოდელო რეგულაციები თემის განვითარების შეთანხმებებთან მიმართებით, რომელიც შემდგომ გაერომ გამოაქვეყნა.⁶ სამოდელო დებულებები მოიცავს, ერთი მხრივ, მოპოვებით სფეროში პირველადი კანონმდებლობის მიერ გამოსაყენებელ მუხლებს, და, მეორე მხრივ, დეტალურ რეგულაციებს. მიუხედავად იმისა, რომ სამოდელო დებულებები თემის განვითარების შეთანხმებების რეგულირებისათვის „კარგი პრაქტიკის“ ბაზისს იძლევა, ისინი პოლიტიკის შემქმნელებისა და კანონმდებლებისათვის მხოლოდ ამოსავალ წერტილად შეიძლება იყოს მიჩნეული. რეალურად, წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობის დებულებებისა და რეგულაციების შემუშავება შესაბამისობაში უნდა იყოს უნიკალურ იურისდიქციულ საჭიროებასა და მოთხოვნებთან.

32.4 კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები

32.4.1 რა არის თემის განვითარების შეთანხმება?

წიაღისეულის მოპოვების ინდუსტრიის პროექტსა და მიმდებარედ მცხოვრებ თემებს შორის ფორმალური ან ნახევრად ფორმალური კავშირის უზრუნველყოფის მიზნის მქონე მრავალი სახის შეთანხმება არსებობს. მაგალითისთვის, ამგვარ შეთანხმებებს მიეკუთვნება: ზეგავლენისა და სარგებლის შეთანხმებები; მისაწვდომობისა და სარგებლის შეთანხმებები; მკვიდრი მიწათსარგებლობის შეთანხმებები; საპარტნიორო შეთანხმებები; თემთან გაფორმებული ხელშეკრულებები; მიწის მესაკუთრეობის შეთანხმებები; ერთობლივი პასუხისმგებლობის შეთანხმებები; ერთობლივი სათემო საწარმოს შეთანხმებები; გაძლიერების შეთანხმებები; სარგებლის გაზიარების შეთანხმებები და სხვა. ზოგიერთი შეთანხმება არაფორმალური და არამოჭავი ხასიათისაა, რომლის მეშვეობითაც, ხელმომწერი მხარეები ორმხრივად გამოხატავენ თავიანთ პოზიციებს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად, ურთიერთგაგების მემორანდუმის სახით. მეორე მხრივ, შეთანხმებებმა შესაძლოა მიიღოს სამართლებრივად მხოლოდ კონტრაქტის ან ხელშეკრულების ფორმაც კი. დღის მდგომარეობით, მომპოვებელ კომპანიებსა და თემებს შორის სხვადასხვა ფორმის შეთანხმებების გამოყენება ფართო სახეს იღებს, თუმცა, ბევრ ქვეყანაში თემის განვითარების შეთანხმების ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ ითვლება სტანდარტულ

პრაქტიკად. მეორე მხრივ, ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, კანადაში, მსხვილ მოპოვებით პროექტებში თემის განვითარების შეთანხმებას უნივერსალურთან მიახლოებული გამოყენება აქვს.⁷ ზოგიერთი შეთანხმება კონფიდენციალურია, თუმცა, ხელშეკრულებების უმეტესობა საჯაროდ ხელმისაწვდომია.⁸ როგორც დასაწყისში აღინიშნა, მოცემული სტატიის მიზნებისთვის, თემის განვითარების შეთანხმება გულისხმობს სამართლებრივად მბოჭავ ხელშეკრულებას, რომელიც მიემართება თემის განვითარების საკითხებს და იდება, ერთი მხრივ, წიაღისეულის მოპოვების უფლებამოსილების მქონესა და, მეორე მხრივ, თემს (ან თემებს) შორის, რომლებზეც ზეგავლენას მოახდენს ზემოხსენებული მოპოვებითი უფლების განხორციელება.

თემის განვითარების შეთანხმების საჭიროებისა და შინაარსის განსაზღვრის ნაწილში მომპოვებლისთვის არჩევანის საშუალების მიცემის ნაცვლად, ამგვარი შეთანხმებების კანონმდებლობით მოთხოვნის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავიდან იცილებს პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც წიაღისეულის ნებისმიერ მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები *ad hoc* რეჟიმში წყდება. მაგალითისთვის, სოლომონის კუნძულებზე, გასული ათწლეულის განმავლობაში, კომპანიებმა, რომლებიც იკვლევდნენ ოქროს, ნიკელსა და სხვა წიაღისეულს, მიწაზე წვდომის ნაწილში *ad hoc* საფუძველზე დაიწყეს შეთანხმებების დადება, რომლებიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ცალკეული შეთანხმებების სიცოცხლისუნარიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მაშინ, როდესაც თემისთვის ცნობილი გახდა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი შეთანხმება სხვა შეთანხმებებთან შედარებით არსებითად უფრო მომგებიანი იყო. პოლიტიკოსებსა და ადგილობრივ ლიდერებს ყველა თემისთვის სამართლიანი გარიგების უზრუნველყოფის მოთხოვნა წაეყენათ. ზეწოლის შედეგად, მთავრობამ მიწაზე წვდომის შეთანხმების სტანდარტიზებული მოდელის შემუშავებისათვის მხარდაჭერა ითხოვა, რომლის სავალდებულოდ მოთხოვნაც მოხდებოდა წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობის მიერ. როგორც ო'ფერჩილაიმ შენიშნა:

კომერციულ დეველოპერებსა და ადგილობრივ თემებს შორის შეთანხმებები უფრო და უფრო გავრცელებული ხდება მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ნაწილში. მისი გავრცელების ამპლიტუდა აშშ-ს ქალაქების ცენტრებიდან იწყება და შორეული მოპოვებითი რეგიონებით სრულდება. თემის განვითარების ამგვარი შეთანხმებების საჭიროება განსაკუთრებით მწვავეა წიაღისეულის მოპოვების დროს, როდესაც გარემოსდაცვითი და სოციალური ხარჯები ხშირად თემის ტვირთს წარმოადგენს, ხოლო პროექტის სარგებელი ეროვნულ კაპიტალსა და გლობალურ ფინანსურ ცენტრებში გროვდება, რაც ადგილობრივ მოსახლეობასა და მომპოვებლებს შორის კონფლიქტს იწვევს.

(O'Faircheallaigh 2012: 222)

მნიშვნელოვანია, არ მოხდეს აღრევა ორ განსხვავებულ კონცეფციას - თემის განვითარების მოთხოვნებსა (მათ შორის, თემის განვითარების შეთანხმება თუ სხვა ფორმით არსებული მოთხოვნა) და ზემოქმედების კომპენსაციას, შორის. წიაღისეულის მოპოვების სფეროში არსებული საკანონმდებლო რეგულაციების უმეტესობა მომპოვებლის მიერ მესაკუთრისა თუ ქონებრივი უფლების მქონეთა კომპენსირებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც

წილისეულის მოპოვება ზიანს მიაყენებს პირად ან სათემო საკუთრებას ან ქონებრივ უფლებებს. საკომპენსაციო გადასახადი განსხვავდება თემის განვითარებაში მომპოვებლის ინვესტიციისგან. კომპენსაცია, როგორც წესი, უძრავი ქონების დაკარგვისთვის ერთჯერად გადასახადს გულისხმობს, მაშინ, როდესაც თემის განვითარების შეთანხმების ქრილში ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს შეიძლება განგრძობადი ხასიათი ჰქონდეს და მიზნად ისახავდეს განვითარების მიზნების მიღწევას (მაგალითად, ადამიანური კაპიტალის განვითარება, მიკრობიზნესის შექმნა და სხვა).

32.4.2 თემის განვითარების შეთანხმების მხარეები

ვინ უნდა იყოს თემის განვითარების შეთანხმების მხარე იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი შეთანხმება კანონმდებლობით არის მოთხოვნილი? ნათელია, რომ თემი და წილისეულის მოპოვების უფლების მქონე კომპანია უნდა იყოს შეთანხმების მხარე, თუმცა, მნიშვნელოვანია იმის იდენტიფიცირება, თუ რა როლი აკისრია რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებას. არაერთ შემთხვევაში, ლოგიკურია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება (მაგალითად, არჩეული საქალაქო საბჭო/საკრებულო, ტომის უზუცესები ან ქალაქის მერი) შეთანხმების მხარე იყოს, თუმცა, იმის დადგენა, თუ ვინაა თემის ყველაზე რელევანტური წარმომადგენელი, შესაძლებელია პრობლემური იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი რგოლი არ არსებობს ან არ არის თემის ნდობით აღჭურვილი. ზემოაღნიშნული საკითხი პოლიტიკის შემქმნელებისა და კანონშემოქმედთათვის განსაკუთრებით პრობლემურია იმ ქვეყნებში, სადაც არჩეული და ტრადიციული ლიდერების კომბინაცია გვხვდება. ერთ-ერთი მიდგომით, კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ადგილობრივი თემის მიერ თემის განვითარების შეთანხმების რატიფიცირება იმ პროცესებისა და ფორმის შესაბამისად, რაც ყველა ადგილობრივზე ზეგავლენის მომხდენი გადაწყვეტილებების მიღების დროს აღნიშნული თემის ჩვეულებას წარმოადგენს. აღნიშნული მიდგომა ლოკაციების მიხედვით მოქნილობის შესაძლებლობას იძლევა. თემის განვითარების შეთანხმების მხარეების ნათლად ჩამოყალიბება საკანონმდებლო მიდგომით არის შესაძლებელი, რითაც თავიდან იქნება აცილებული ის ბუნდოვანება, რაც იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, როდესაც სახეზე მხოლოდ მომპოვებლების ნებაყოფლობითი ღონისძიებები იქნებოდა.

შეთანხმების მხარედ ყოფნის ნაცვლად, ხელისუფლების უფრო მაღალ დონეებს შესაძლოა, მარეგულირებელი როლი ჰქონდეთ. მაგალითისთვის, წილისეულის მოპოვების საკითხებზე მომუშავე სამინისტროს შესაძლოა დაეკისროს შემდეგი ფუნქციები: იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მომპოვებელს, რომლისთვისაც სავალდებულოა თემის განვითარების შეთანხმებების დადება, რეალურად გააჩნდეს ისინი; იმის უზრუნველყოფა, რომ თემის განვითარების შეთანხმებამ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საკითხი დაფაროს; თემის განვითარების შეთანხმების შესრულების მონიტორინგი; შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება (როგორცაა, მაგალითად, ჯარიმების დაკისრება ან უფლებების შეჩერება ან ჩამორთმევა) იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების შესრულება მოთხოვნისამებრ არ მიმდინარეობს და სხვა. პასუხისმგებელმა სამინისტრომ შესაძლოა, ასევე შეასრულოს თემის განვითარების შეთანხმებების დეპოზიტარის ფუნქციაც. მას ასევე შეუძლია, უზრუნველყოს ამგვარი

შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობა, რომელიც მორგებული იქნება თემების საჭიროებებს (მაგალითად, ვებ-საიტის მეშვეობით) და შესაბამისობის ანგარიშებზე საჯარო წვდომა.

32.4.3 მონაწილეობითი პროცესები: განსხვავებული თემების საჭიროებების გათვალისწინების საკითხი

პროცესი, რომლის ფარგლებშიც თემის განვითარების შეთანხმებებზე მოლაპარაკება და მათ შინაარსზე შეჯერება ხდება, შესაძლოა, რთულად წარიმართოს. თემის განვითარების შეთანხმებასთან მიმართებით საკანონმდებლო მიდგომის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს მოლაპარაკების პროცესის მხარეების უზრუნველყოფა ნათელი, თუმცა მოქნილი ჩარჩოთი (roadmap). აღნიშნული განსაკუთრებით გამოსადეგი შეიძლება იმ შემთხვევებში იყოს, როდესაც პროცესში რამდენიმე, კულტურულად არაერთგვაროვანი და განსხვავებული მოლოდინის მქონე, თემია ჩართული. სოციოლოგების, მედიატორებისა და ადგილობრივ დონეზე მოლაპარაკებებში სპეციალიზებული სხვა პირების ჩართულობამ თემის განვითარების შეთანხმების შემუშავების პროცესში შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.⁹ შეთანხმება, რომელიც შეესაბამება ერთი თემის საჭიროებებს, შესაძლოა, შეუსაბამო იყოს სხვა თემისთვის.

შესაძლებელია, თემი მიმდებარე ტერიტორიებზე წიაღისეულის მოპოვების სამუშაოების განხორციელებას ეწინააღმდეგებოდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მოპოვება განსახლებას გამოიწვევს. შესაბამისად, თემის სამომავლო ხედვა შესაძლოა ფოკუსირდეს სტატუს ქვოს შენარჩუნებასა თუ ნელი ტემპებით განვითარებაზე, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის სოციალური ღირებულებების სისტემებს. ევანსმა ადგილობრივ თემებსა და ე.წ. კეთილი მიზნების მქონე მომპოვებლებს შორის ცალკეულ შემთხვევებში არსებული განსხვავებულობის საკითხი შეაჯამა.

დღესდღეობით, მომპოვებელი კომპანიები, მინიმალური გრძელვადიანი გარემოსდაცვითი ზიანით წიაღისეულის მოპოვების სანაცვლოდ ითხოვენ წამყვან როლს მდგრადობის განსაზღვრის, სკოლების, საავადმყოფოებისა და სამუშაო ადგილების შეთავაზების ნაწილში. თუმცა, ბულდოზერის წინაშე მდგარი თემებისთვის, წიაღისეულის მდგრადი მოპოვების კონცეფცია და რეალობა სულაც არ არის ერთი და იგივე.

(Evans et al. 2001: 250)

ქვეყნების უმრავლესობაში, წიაღისეული სახელმწიფოთა საკუთრებაშია და ხშირად სწორედ სახელმწიფოს ინტერესშია წიაღისეულის გამოყენება ყველა მოქალაქის სასიკეთოდ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა მოპოვებას ეწინააღმდეგება. მონაწილეობითმა პროცესებმა, სადაც თემი მტრულად არის განწყობილი მოპოვების მიმართ, შესაძლოა ჩაშალოს თემის განვითარების შეთანხმების შესამუშავებლად საჭირო დიალოგი. წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობამ, რომელიც სავალდებულოდ ითხოვს თემის განვითარების შეთანხმებების არსებობას, უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული სიტუაცია,

წინასწარი ინფორმირებული თანხმობის კონცეფციის გამოყენების ან, ცალკეულ შემთხვევებში, თემის განვითარების შეთანხმების დადების ვალდებულებისგან გათავისუფლების გზით.

32.4.4 სათემო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების წარმოების უფლებამოსილება

როგორც წინამდებარე სტატიაში აღინიშნა, თემის განვითარების შეთანხმება სამართლებრივად მბოჭავი ხელშეკრულებაა. სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპის მიხედვით, ხელშეკრულება ორ ან მეტ რელევანტურ მხარეს ბოჭავს, რომლებიც ამ ხელშეკრულებაზე თანხმობას აცხადებენ. გიბსონი და ო'ფერჩილაი აღნიშნავენ, რომ:

მოლაპარაკების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, თემმა და მისმა ლიდერებმა ცივი გონებით უნდა შეაფასონ თავიანთი პოზიცია კომპანიასა და სამთავრობო ორგანოებთან (რომლებიც უფლებამოსილნი არიან, დაამტკიცონ პროექტი ან უარი განაცხადონ მასზე) მიმართებით, ასევე, უფრო ფართო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში.

(Gibson and O'Faircheallaigh 2010: 11)

თუმცა, ბევრ თემს არ გააჩნია ეფექტიანი მოლაპარაკებებისა თუ თემის განვითარების შეთანხმების პირობების შედეგების გააზრების შესაძლებლობა და კომპეტენცია. ზემოაღნიშნული შესაძლებლობების არარსებობის პირობებში, ისინი არიან მოწყვლადნი, დათანხმდნენ იმ პირობებს, რომელიც შესაძლოა, არ შედიოდეს მათ გრძელვადიან საუკეთესო ინტერესებში. არსებობს რისკი, რომ, დროთა განმავლობაში, როდესაც თემი გააცნობიერებს, რომ ეს შეთანხმება დაბალ სტანდარტს აწესებს, მისი გამოყენება აღარ მოხდება. ზემოაღნიშნული მიზეზით, თემის განვითარების შეთანხმების მარეგულირებელი ცალკეული კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ამგვარმა შეთანხმებებმა დაფაროს ყველა ძირითადი სავალდებულო საკითხი, ხოლო თემს ჰქონდეს გამოცდილ მრჩეველებზე წვდომა ან მოხდეს მათივე გაძლიერება მოლაპარაკებების წარმოების მიმართულებით. მაგალითად, ბუგენვილის ავტონომიური რეგიონის წიაღისეულის მოპოვების კანონის 123 (10) სექცია მოითხოვს, რომ:

იმ შემთხვევაში, როდესაც მდივნის (Secretary) აზრით, თემის განვითარების შეთანხმების დადებაზე უფლებამოსილ თემს ზემოაღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით არ გააჩნია ეფექტიანი მოლაპარაკებების წარმოების შესაძლებლობა, წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების უფლების მქონემ დახმარება უნდა გაუწიოს მათ ამ შესაძლებლობების განვითარებისათვის, მათ შორის, იმ ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფისთვის, რომელიც, მოცემულ ვითარებაში, მიზანშეწონილი იქნებოდა თემის შესაძლებლობების ზრდისა და მათი მომზადების მიმართულებით.¹⁰

იმ შემთხვევაში, როდესაც თემის განვითარების შეთანხმებები შემუშავებულია ისეთ გარემოში, სადაც რეგულაციები არ არსებობს, დიდია ალბათობა იმისა, რომ თემს არ ჰქონდეს შესაძლებლობისა და კომპეტენციის მიმართულებით დაცვის იმ მექანიზმებზე წვდომა, რასაც ბუგენვილის კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ცალკეულ შემთხვევებში, იქ, სადაც მსგავსი სამართლებრივი დაცვა არ არის მისაწვდომი, არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი საკონსულტაციო როლი შეუძლიათ შეასრულონ. მაგალითისთვის, განაში, არასამთავრობო ორგანიზაციები გახდნენ იმ ჯგუფის წევრები, რომელიც აჰაფოს ოქროს პროექტის ფარგლებში აწარმოებდა მოლაპარაკებებს თემის განვითარების შეთანხმებებთან დაკავშირებით.¹¹ ამგვარი შეთანხმებების შემთხვევის შესწავლაზე დაფუძნებულ ანალიზში ბრერეტონმა და სხვებმა (2011: 15) აღნიშნეს, რომ „თემის განვითარების შეთანხმებების წარმატება უმეტესწილად ეყრდნობა ყველა მხარის შესაძლებლობას, შეთანხმების შემუშავების პროცესში მიიღონ კონსტრუქციული მონაწილეობა, განგრძობადად დაუჭირონ მხარი შეთანხმებას და შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები“.

32.5 წიაღისეულის მოპოვების კანონი და მოპოვების სფეროს რეგულაციები

მოცემულ თავში წარმოდგენილია ძირითადი საკითხები, რომელიც წიაღისეულის მოპოვების კანონით თემის განვითარების შეთანხმების მოთხოვნას უდევს საფუძვლად, ასევე, თემასთან დაკავშირებული რეგულაციები. ზემოაღნიშნული ფუძემდებლური საკითხები შესაძლოა, ასევე რელევანტური იყოს ნავთობის სფეროს კანონმდებლობისათვის, თუმცა ნავთობისა და ბუნებრივი აირის პროექტებში თემის განვითარების შეთანხმებების არსებობას მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა ითხოვს. როგორც წესი, წიაღისეულის მოპოვების საკანონმდებლო რეგულაციებისგან განსხვავებით, წიაღისეულის მოპოვების კანონში თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებული დებულებები მცირე, მოკლე და კონკრეტულია. წინამდებარე თავში არსებულ ზოგად მაგალითებთან ერთად, თემის განვითარების შეთანხმების დეტალური და ამომწურავი სამოდელო თემატური დებულებები და რეგულაციები, რომლებსაც წინამდებარე სტატიის ავტორი უწევს რეკომენდაციას, მისაწვდომია ოტოს (2017) დანართში.

32.5.1 რომელი საქმიანობა საჭიროებს თემის განვითარების შეთანხმების არსებობას?

წიაღისეულის მოპოვების ინდუსტრია სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის პროექტებისგან შედგება და ყველა საქმიანობა შესაძლოა, არ დაექვემდებაროს თემის განვითარების შეთანხმების სავალდებულოდ არსებობის მოთხოვნებს. მაგალითისთვის, კუსტარულად მომუშავე ინდივიდუალურ მალაროელზე ან მცირე მასშტაბის კარიერულ მოპოვებაზე ამგვარ შეთანხმებებთან მიმართებით მოთხოვნის დაწესება არ იქნებოდა პრაქტიკული. აღნიშნული მსჯელობა ხანმოკლე ან მინიმალურშემოსავლიან საქმიანობებზეც ვრცელდება. შესაბამისად, აუცილებელია, წიაღისეულის მოპოვების კანონმა განსაზღვროს იმ საქმიანობების ტიპები და მასშტაბი, რომელთათვისაც თემის განვითარების შეთანხმების დადება იქნებოდა აუცილებელი. ზოგადად, ამგვარი შეთანხმებების არსებობას მაშინ აქვს აზრი, როდესაც პროექტის მასშტაბი და ხანგრძლივობა, პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე, ქმნის ადგილობრივი მდგრადი განვითარებისათვის არსებითი წვლილის შეტანის პოტენციალს. ამ სფეროში ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს თითოეულ, ინდივიდუალურ შემთხვევასთან მიმართებით იმის დადგენა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამგვარი შეთანხმებების დადების მოთხოვნა. თუმცა, მიდგომა, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების

მიღების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას ეყრდნობა, ქმნის რისკებს პროექტის ინვესტორის, მთავრობისა და რელევანტური თემებისთვის. სხვაგვარი ტიპის მიდგომებმა, შესაძლოა, სიცხადე უფრო მეტად უზრუნველყოს.

იმ შემთხვევაში, როდესაც წიაღისეულის მოპოვების კანონი მოპოვების რამდენიმე სახის ნებართვის გაცემას ითვალისწინებს, თემის განვითარების შეთანხმების დადების მოთხოვნა შეიძლება გავრცელდეს გარკვეულ ლიცენზირებულ საქმიანობაზე, მაგალითად, როგორცაა, წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვება. აღნიშნულის ალტერნატიულად, ცალკეული ლიცენზირებული საქმიანობები შეიძლება გათავისუფლდეს ამგვარი შეთანხმების დადების ვალდებულებისგან (მაგ., ინდივიდუალური, კუსტარული მოპოვების ლიცენზია, კარიერული წესით მოპოვების ლიცენზია და სხვა). სამხრეთ სუდანის ქვემოთ მოცემული მაგალითი ასახავს კავშირს ლიცენზიის ტიპსა და თემის განვითარების შეთანხმების დადების ვალდებულებას შორის:

68. თემის განვითარების შეთანხმებები

(1) წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია,

...

(b) შესაბამის სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით, თემთან დადოს თემის განვითარების შეთანხმებები.¹²

სხვა, თუმცა მსგავსი მიდგომა გულისხმობს თემის განვითარების შეთანხმებების დადების ვალდებულებას იმ შემთხვევაში, როდესაც საქმიანობის მასშტაბი დადგენილ სტანდარტს სცდება. ამ მიდგომის მაგალითი სიერა-ლეონეს წიაღისეულის მოპოვების კანონში გვხვდება:

139. შემთხვევები, როდესაც თემის განვითარების შეთანხმების დადება სავალდებულოა.

(1) მცირე ან ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მქონე ვალდებულია, ტერიტორიის მკვიდრ მოსახლეობასთან დადოს და განახორციელოს თემის განვითარების შეთანხმება, იმ შემთხვევაში, როდესაც წიაღისეულის მოპოვების ლეგალური საქმიანობა აჭარბებს ან გადააჭარბებს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ლიმიტს:

(ა) ალუვიური საბადოებიდან წიაღისეულის მოპოვების შემთხვევაში, როდესაც წლიური გამომუშავება 1 მლნ კუბურ მეტრზე მეტია;

(ბ) წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვების სამუშაოების შემთხვევაში, სადაც დაუხარისხებელი მადნისა და ნარჩენების წლიური კომბინირებული მაჩვენებელი წელიწადში 100 000 ტონაზე მეტია (აღნიშნული არ მოიცავს ნარჩენ მასალას, რომლის მადაროდან გამოტანა არ ხდება);

(გ) არაალუვიური საბადოებიდან წიაღისეულის ღია წესით მოპოვების ოპერაციების შემთხვევაში, სადაც დაუხარისხებელი მადნის, ქანების, ნარჩენებისა და მიწის ზედა ფენის წლიური კომბინირებული მაჩვენებელი 250 000 ტონაზე მეტია; ან

(დ) როდესაც მოპოვების ადგილზე, ტიპური სამუშაო დღის განმავლობაში (ყველა ცვლაში), ლიცენზიის მფლობელის მიერ 100-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.¹³

32.5.2 რომელ თემს აქვს თემის განვითარების შეთანხმების დადების უფლებამოსილება?

იმ შემთხვევაში, როდესაც წიაღისეულის მოპოვების კანონი მომპოვებლის მიერ თემის განვითარების შეთანხმების დადების ვალდებულებას აწესებს, აღნიშნული ვალდებულების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება ტერმინის - „თემი“, ქვეშ. თემის განვითარების შეთანხმებების მიზნებისათვის, ტერმინის - „თემი“, ქვეშ ზოგადად შეიძლება მოაზრებულ იყოს „კონკრეტული ტერიტორია ან ადგილი თავის მოსახლეობასთან ერთად“.¹⁴ თუმცა, პრაქტიკული გამოყენებისათვის, ეს ფართო განმარტება დახვეწას საჭიროებს. მაგალითისთვის, წიაღისეულის მოპოვების ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლოა, სახლობდეს არაერთი ჯგუფი ან მცირე ზომის შინამეურნეობები, რომლებიც საკუთარ თავს მიიჩნევენ თემად. თითოეულ ჯგუფთან ან ოჯახთან შეთანხმების დადების მოთხოვნა არასათანადო ტვირთი გახდებოდა როგორც მომპოვებლისათვის, ისე კანონმდებლისათვის. დამატებით, ვინაიდან თემის განვითარების შეთანხმების მხარედ ყოფნა გულისხმობს სარგებლის მიღებას, ყველა თემს სურს, იყოს ამგვარი შეთანხმების დადებაზე უფლებამოსილი, მაშინაც კი, როდესაც იგი პროექტის სამოქმედო არეალისგან მოშორებით ცხოვრობს. სხვადასხვა თემის დიდი რაოდენობის შემთხვევაში, არსებითი მდგრადი განვითარებისკენ მიმართული სარგებელი შესაძლოა, გაფერმკრთალდეს. აღნიშნული იწვევს „უფლებამოსილი თემის“ კონცეფციის არსებობის საჭიროებას, როდესაც კანონი განსაზღვრავს მოცემულ ტერმინს იმ პარამეტრების გამოყენებით, რომელიც ბენეფიციართა წრეს ზღუდავს.

ცალკეულმა მთავრობებმა, შესაძლოა თემის განვითარების შეთანხმების სარგებელი მხოლოდ ერთ თემზე მიმართონ, ეს უკანასკნელი კი მეზობელი თემებისთვის რეგიონული ცენტრის ფუნქციებს შეასრულებს. ერთ „მასპინძელ“ თემზე ფინანსური რესურსების კონცენტრაციით შესაძლებელი ხდება ინფრასტრუქტურის განვითარება, მაგალითად, საავადმყოფოს მშენებლობა, რაც შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც თემის განვითარების შეთანხმებით გათვალისწინებული რესურსები რამდენიმე ან მრავალ თემზე იქნებოდა გადანაწილებული. ერთ, მასპინძელ თემზე ორიენტირებული მიდგომა გვხვდება სიერა-ლეონეს წიაღისეულის მოპოვების კანონში:

139. შემთხვევები, როდესაც თემის განვითარების შეთანხმების არსებობა აუცილებელია.

(1) წიაღისეულის მცირე ან ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ძირითად მასპინძელ თემთან დადოს და განახორციელოს თემის განვითარების შეთანხმება ...

(2) ძირითადი მასპინძელი თემი არის ადამიანთა ერთობა, რომელიც ასეთად მიჩნეულია წიაღისეულის მცირე ან ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მფლობელისა და ადგილობრივი საბჭოს მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების არეალის რომელიმე საზღვრიდან ოცდაათი კილომეტრის მანძილზე არ ცხოვრობს თემი, ძირითად მასპინძელ თემად ადგილობრივი საბჭო ითვლება.

(3) იმ შემთხვევაში, როდესაც წიაღისეულის მცირე ან ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მფლობელი და ადგილობრივი საბჭო ვერ თანხმდებიან, თუ რომელი თემი უნდა ჩაითვალოს ძირითად მასპინძელ თემად, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, განმარტების თხოვნით მიმართოს მინისტრს. ამგვარი შეტყობინების მიღებიდან სამოცი კალენდარული დღის განმავლობაში, მინისტრი ლიცენზიის მფლობელსა და ადგილობრივ საბჭოს ატყობინებს ძირითადი მასპინძელი თემის ვინაობას.¹⁵

მასპინძელ თემთან დაკავშირებით მსგავსი დებულებები გათვალისწინებულია მოზამბიკის 2011 წლის წიაღისეულის მოპოვების სამოდელო შეთანხმებით,¹⁶ ასევე, ნიგერიისა¹⁷ და იემენის¹⁸ წიაღისეულის მოპოვების სფეროს რეგულაციებით. ძირითად მასპინძელ თემზე ორიენტირებული მიდგომის ერთ-ერთ გამოწვევას ის წარმოადგენს, რომ მიმდებარედ მცხოვრებმა თემებმა შესაძლოა, თავი ნაკლებმნიშვნელოვნად იგრძნონ, რაც შემდგომ მტრულ დამოკიდებულებაში შეიძლება გამოიხატოს. აღნიშნულის შემსუბუქებისათვის, სიღარიბის შემცირების უფრო ფართო ინიციატივები შეიძლება გამოიყენებოდეს იმ თემებთან მიმართებით, რომელთაც არ გააჩნიათ თემის განვითარების შეთანხმება. ძირითადი მასპინძელი თემის არსებობის მოთხოვნასთან დაკავშირებით პრობლემური შეიძლება იყოს ისიც, რომ, მას შემდეგ, რაც კომპანია კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებით შეასრულებს, მას შეიძლება ჰქონდეს მცირე სტიმული სხვა თემებთან შემდგომი მუშაობისთვის.

მთავრობების ნაწილი თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებული რესურსების მობილიზებას მხოლოდ ერთ თემზე ახორციელებს, მაშინ, როდესაც სხვა მთავრობები უფრო თანასწორუფლებიან მიდგომას ემხრობიან, შესაბამისად, პროექტისთვის შესაძლოა სავალდებულო იყოს თემის განვითარების შეთანხმებების დადება ყველა იმ თემთან, რომელიც განსაზღვრულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. აღნიშნული მიდგომის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია, თავიდან აიცილოს იმგვარი სიტუაციები, როდესაც, სხვა თემების საზიანოდ, მხოლოდ ერთი თემი იღებს სარგებელს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება მტრული გარემოს შექმნის წინაპირობა გახდეს. ქვემოთ მოყვანილია მაგალითი პაპუა-ახალი გვინეის ბუგენვილის ავტონომიური რეგიონის წიაღისეულის მოპოვების კანონიდან:

2. განმარტებები.

(1) მოცემულ კანონში, თუ საპირისპირო განზრახვა არ იკვეთება:

„უფლებამოსილი თემი“ ნიშნავს 1 000-ზე მეტი ადამიანისგან შემდგარ ნებისმიერ თემს, რომელიც, ტრადიციებისა თუ გარემოებების გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია სოციალურ ჯგუფად და რომელიც, როგორც წესი, ცხოვრობს:

(ა) წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის იჯარის ან მოპოვებასთან დაკავშირებული ნებისმიერი იჯარის ტერიტორიაზე; ან

(ბ) წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის იჯარის ტერიტორიის ნებისმიერი საზღვრიდან 15 კილომეტრის დაშორებით; ან

(გ) პაპუა-ახალი გვინეის 2000 წლის გარემოს დაცვის კანონის შესაბამისად შემუშავებული გარემოს ზემოქმედების შეფასების დოკუმენტით განსაზღვრულ ზეგავლენის ზონაში, რომელზეც მნიშვნელოვანი ზემოქმედება განხორციელდება წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების საქმიანობების შედეგად; ან

(დ) სოფელსა ან დაბაში, სადაც წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების **ლიცენზიის იჯარის** მქონე სუბიექტის მიერ დასაქმებული ან კონტრაქტორი პირების 10 %-ზე მეტი ცხოვრობს და რომელიც, შესაბამისად, უფლებამოსილია, ამგვარ სუბიექტთან თემის განვითარების შეთანხმება დადოს;

...

123. თემის განვითარების შეთანხმებები.

(5) მეექვსე ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების **ლიცენზიის იჯარის მფლობელი** ვალდებულია, ყველა იმ უფლებამოსილ თემთან დადოს და განახორციელოს თემის განვითარების შეთანხმება, რომელსაც ამგვარი შეთანხმების მხარედ ყოფნის სურვილი აქვს.¹⁹

იმ შემთხვევაში, როდესაც წიაღისეულის მოპოვების კანონი მიზნად ისახავს ეგალიტარული მიდგომის უზრუნველყოფას, იგი შეიძლება ეცადოს, თემის განვითარების შეთანხმებით გათვალისწინებული სარგებლით უზრუნველყოფილი იყოს მრავალი მცირე, ერთმანეთისგან განსხვავებული თემი. ამ მიზნით, „ქვე-თემებს“ მოეთხოვებათ, გაერთიანდნენ უფრო უკეთ მართვადი „უფლებამოსილი თემის“ ქოლგის ქვეშ, რომელიც შემდგომ თემის განვითარების შეთანხმების მხარე იქნება. ვინაიდან თემის განვითარების შეთანხმებიდან მიღებული სარგებელი, შესაძლოა, დიდი მოცულობის იყოს, მცირე თემებისთვის იქმნება ძლიერი სტიმული, გაერთიანდნენ და შექმნან თემი, რომელიც ამგვარი შეთანხმების დადებაზე უფლებამოსილი სუბიექტი იქნება. ქვემოთ მოყვანილი ამონარიდი ასევე პაპუა-ახალი გვინეის ბუგენვილის ავტონომიური რეგიონის კანონმდებლობიდან არის მოყვანილი:

91. წინამდებარე ნაწილის განმარტება.

წინამდებარე ნაწილში სიტყვებსა და სიტყვათშეთანხმებებს ექნება მათთვის კანონის მიერ მინიჭებული მნიშვნელობები:

...

„ქვე-თემი“ ნიშნავს ნებისმიერ სოციალურ ჯგუფს, რომელიც 1000-ზე ნაკლები ადამიანისგან შედგება და რომელიც სხვა დანარჩენი კრიტერიუმებით აკმაყოფილებს უფლებამოსილ თემად კვალიფიცირებისათვის არსებულ მოთხოვნებს.

92. უფლებამოსილი თემების იდენტიფიცირება.

...

(3) უფლებამოსილი თემის ჩამოყალიბების მიზნით ქვე-თემები შეიძლება გაერთიანდნენ. ნებისმიერი ასეთი გაერთიანება უნდა დაფიქსირდეს სპეციალურ რეესტრში, რომელიც აღწერს უფლებამოსილი თემის წევრ ქვე-თემებს.

(4) ქვე-თემებს არ აქვთ უფლებამოსილება, დადონ თემის განვითარების შეთანხმება.²⁰

32.5.3 წიაღისეულის მოპოვების კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებით

წინამდებარე სტატიის ავტორის მოსაზრებით, წიაღისეულის მოპოვების კანონში თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავებისას, პროექტებთან მიმართებით, რომელთათვისაც ამგვარი შეთანხმების არსებობა სავალდებულოა, სულ მცირე, ოთხი ძირითადი ვალდებულება უნდა გაიწეროს:

- პროექტს გაჩნია განვითარების ვალდებულება ცალკეულ თემებთან მიმართებით;
- პროექტის განვითარების აქტივობები უნდა შეთანხმდეს თემის განვითარების შეთანხმებების ფარგლებში;
- თემის განვითარების შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობები რეალურად უნდა განხორციელდეს;
- აქტივობებთან დაკავშირებით ინფორმაცია პერიოდულად უნდა იყოს გაზიარებული, რათა მარეგულირებელმა შეამოწმოს, თუ რამდენად სრულდება თემის განვითარების შეთანხმება.

წიაღისეულის მოპოვების სამოდელო კანონის თემის განვითარების შეთანხმების ქვემოთ მოყვანილი მუხლები ოტოს (2017) ნაშრომიდანაა ამოღებული, რომელიც აღნიშნულ ვალდებულებებს შეეხება:

წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მფლობელი განვითარებაში იმ უფლებამოსილ თემებს უნდა დაეხმაროს, რომლებიც ზეგავლენას განიცდიან მისი საქმიანობების შედეგად, რათა ხელი შეეწყოს მდგრად განვითარებას, გაუმჯობესდეს მოსახლეობის კეთილდღეობა და ცხოვრების ხარისხი. ლიცენზიის მფლობელმა ასევე უნდა აღიაროს და პატივი სცეს ადგილობრივი თემების უფლებებს, ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მქონე ვალდებულია, დადოს და განახორციელოს თემის განვითარების შეთანხმებები ყველა იმ თემთან, რომლებიც აკმაყოფილებენ „უფლებამოსილი თემის“ დეფინიციის კრიტერიუმებს და აქვთ სურვილი, გახდნენ ამგვარი შეთანხმების მხარეები.

წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ჯეროვნად შეასრულოს თემის განვითარების შეთანხმება.

წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

(ა) მისი წლიური გაყიდვებიდან მიღებული დაუბეგრავი შემოსავლების არანაკლებ [X პროცენტი] მოახმაროს თემის განვითარებას, განსაზღვრული წესით, დადგენილ პერიოდსა და საქმიანობებზე; და

(ბ) შეთანხმებული ფორმითა და წესით, წინასწარ განსაზღვრულ დროს წარადგინოს თემის განვითარების ხარჯების ყოველწლიური ანგარიში;

(გ) წელიწადში ორჯერ, შეთანხმებული ფორმითა და წესით, წინასწარ განსაზღვრულ დროს, წარადგინოს ანგარიში თემის განვითარების თითოეულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელიც წიაღისეულის მოპოვების მის ხელთ არსებულ ლიცენზიას უკავშირდება;

(დ) პერიოდულად, განსაზღვრული წესით, განაახლოს თემის განვითარების შეთანხმება/შეთანხმებები.

ზემოაღნიშნული რეგულაციები ლიცენზიის მფლობელისთვის თემის განვითარებაზე (რომელიც მოიცავს თემის განვითარების შეთანხმებით გათვალისწინებულ ხარჯებს, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ მისით) ყოველწლიურად გამოსაყოფი თანხის მინიმალურ ზღვარსაც აწესებს, რომელიც ლიცენზიის მფლობელის დაუბეგრავი შემოსავლის გარკვეული პროცენტით დგინდება. ავტორის გამოცდილებით, პოლიტიკის შემქმნელებისთვის აღნიშნული მექანიზმის მნიშვნელობა დიდია. შემოსავლის ნაკადის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის შედეგად, თემის განვითარების შეთანხმების აქტივობების განხორციელების უფრო ხელშესახები პერსპექტივა ჩნდება. ასევე, იზრდება იმის შანსი, რომ ბენეფიციარი თემები დაფინანსებასთან დაკავშირებით უკეთ იქნებიან ინფორმირებულნი, აქედან გამომდინარე, მათი მოქმედებებიც მოლოდინების შესაბამისი იქნება. ამგვარი რეგულირება ასევე ხელს შეუწყობს თემის განვითარების შეთანხმების მოლაპარაკებებსაც, რადგან დაფინანსების მოთხოვნა კანონით იქნება გათვალისწინებული და მისი არსებობის საკითხი მოლაპარაკების საგანი აღარ იქნება. ინდუსტრიასთან დისკუსიების შედეგად, წინამდებარე სტატიის ავტორმა შეიტყო, რომ ბევრი მაღარო დაუბეგრავი შემოსავლის დაახლოებით 2 %-ს ნებაყოფლობით ხარჯავს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებზე, თუმცა, გამოყოფილი თანხა ძალზე ცვალებადია პროექტების მიხედვით. შესაბამისად, კანონით დადგენილი ვალდებულება, თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებით დაახლოებით 2 %-ის ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებით, ბევრი მომპოვებელი კომპანიის მიერ, დიდი ალბათობით, არაგონივრულ ვალდებულებად არ ჩაითვლება.

თემის განვითარების შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესის მხარდაჭერის მიზნით, წინამდებარე სტატიის ავტორი რეკომენდაციას უწევს წიაღისეულის მოპოვების კანონის ფარგლებში ისეთი რეგულაციების მიღებას, რომლებიც აწესებს საკითხებს, რასაც ეს შეთანხმება უნდა შეეხოს. აღნიშნული რეგულაციები პრაქტიკაში მოლაპარაკებების ჩარჩოს ფუნქციას ასრულებს და ძირითადი საკითხების გაწერის გზით იცავს თემების ინტერესებს. ოტოს (2017) ნაშრომში არსებული სამოდელო რეგულაციები მოიცავს იმ სავალდებულო საკითხების ჩამონათვალს, რომელიც თემის განვითარების შეთანხმებამ უნდა დაფაროს. თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებით, რეგულაციების ერთ-ერთ მთავარი მოთხოვნა ეხება შეთანხმებაში მომპოვებლისა და თემის მიერ ერთობლივად შემუშავებული „განვითარების

გეგმის“ არსებობას, რომელიც ამგვარი შეთანხმების ბირთვის წარმოადგენს. სამოდელო რეგულაციების მუხლები, რომელიც განვითარების გეგმას ეხება, მომდინარეობს მოპოვების, სასარგებლო წიაღისეულისა და მდგრადი განვითარების პროექტის ფარგლებში მოპოვებისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით მისი როლის შესახებ მასშტაბური კვლევის შედეგებიდან (MMSD 2002: xxviii):

თემის მდგრადი განვითარების გეგმა უნდა ეფუძნებოდეს თემის კონცეფციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მაღარომ საუკეთესო წვლილი შეიტანოს თემის სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. გეგმამ უნდა უზრუნველყოს ურთიერთობების ფუნდამენტური ჩარჩოს არსებობა კომპანიას, თემსა და მთავრობას (და ნებისმიერ სხვა მხარეს შორის) შორის როგორც პროექტის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდგომ. შეთანხმებული ხედვის მიღწევის მიზნით, მან უნდა განსაზღვროს საჭირო კონკრეტული საქმიანობები, ისევე, როგორც შესაბამისი როლები და პასუხისმგებლობები. მას ასევე შეუძლია, ზემოაღნიშნული ნაბიჯების გადადგმისთვის ყველა მხრისთვის შეიმუშაოს გარკვეული ვალდებულებები. არსებითია, რომ გათვალისწინებული იყოს მონიტორინგისა და შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმების, მათ შორის, შესრულების ნათელი და წინასწარ შეთანხმებული ინდიკატორების, არსებობა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში გეგმა განვითარდეს და იცვლებოდეს, რათა აისახოს შეცვლილი პრიორიტეტები და შესაძლებლობები.

(MMSD 2002: xxviii)

მიუხედავად იმისა, რომ ოტოს (2017) ნაშრომში არსებული სამოდელო რეგულაციები ადგენს იმ სავალდებულო საკითხების ჩამონათვალს, რომელთაც თემის განვითარების შეთანხმება უნდა შეეხოს, იგი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული საკითხის გადაწყვეტა. მაგალითისთვის, რეგულაციები მოითხოვს, რომ თემის განვითარების შეთანხმებას გააჩნდეს საჩივრებისა და დავის გადაწყვეტის მექანიზმები, თუმცა არაფერს ამბობს ამ მოთხოვნის შინაარსზე - აღნიშნული საკითხი თემსა და მომპოვებელს შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების საგანია. ამგვარად, თითოეული შეთანხმება განსხვავებულია, რაც გამოწვეულია იმით, რომ თითოეულ თემსა და პროექტს აქვს თავისი უნიკალური საჭიროებები და მახასიათებლები. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს წიაღისეულის მოპოვების კანონით დაწესებული ვალდებულება და ის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა თემის განვითარების შეთანხმების მოლაპარაკებების შედეგად: პირველი ტიპის ვალდებულება არის კანონისმიერი ვალდებულება, ხოლო მეორე - სახელშეკრულებო ვალდებულება.

32.5.4 აღსრულება, სამართალდარღვევები და მათზე რეაგირება

წიაღისეულის მოპოვების კანონი, რომელიც თემის განვითარების შეთანხმებების გამოყენებას მოითხოვს და აწესებს მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, როგორც წესი, მოიცავს აღსრულების უზრუნველყოფ რეგულაციებს. დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა ითვლება სამართალდარღვევად, რომელმაც, თავის მხრივ, შესაძლოა დიდი ჯარიმის დაკისრება გამოიწვიოს. დამატებით, ვალდებულებების შეუსრულებლობის დაკავშირება ისეთ ადმინისტრაციულ ქმედებებთან, როგორიცაა, წიაღისეულის მოპოვების უფლების შეჩერება ან

შეწყვეტა, მარეგულირებლის ხელში აღსრულების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. წიაღისეულის მოპოვების კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან განსხვავებით, თემის განვითარების შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს მხარეები მიმართავენ სასამართლოს ან დავის გადაწყვეტის სხვა, შეთანხმებით გათვალისწინებულ, მეთოდებს.

32.5.5 შეთანხმების გამოყენება მის ძალაში შესვლამდე არსებულ მოპოვებით უფლებებზე

წიაღისეულის მოპოვების იმგვარი კანონის შემუშავების პროცესის ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც თემის განვითარების შეთანხმებების არსებობას მოითხოვს, იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა მიემართოს იგი რეგულირებამდე არსებულ პროექტებსა და ღონისძიებებს. რამდენად უნდა დარჩეს ყველა ასეთი პროექტი რეგულირების მიღმა? როგორი მიდგომა უნდა არსებობდეს მომპოვებელსა და თემს შორის რეგულირებამდე არსებულ შეთანხმებებთან მიმართებით? ერთ-ერთი მიდგომით, ამგვარ პროექტებს ეძლევა განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც ვალდებულნი არიან, დადონ თემის განვითარების შეთანხმებები და დააკმაყოფილონ დაწესებული საკანონმდებლო მოთხოვნები. წინამდებარე სტატიის ავტორი ამგვარი მიდგომის მაგალითს წარმოადგენს: „წიაღისეულის ფართომასშტაბიანი მოპოვების ოპერაციების განხორციელების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს, თუმცა კანონის მიღებამდე მიენიჭა ეს უფლებამოსილება, ვალდებულია, კანონის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ორი წლისა, მიაღწიოს წინამდებარე მუხლის მოთხოვნასთან შესაბამისობას.“

კიდევ ერთ მიდგომას, რომელსაც წინამდებარე სტატიის ავტორი მხარს არ უჭერს, ახალი კანონის მიერ ტრანზიციის საკითხის დაურეგულირებლობა წარმოადგენს. ამგვარი მიდგომის შემთხვევაში (რომელიც გამოყენებულია ნიგერიისა და სიერა-ლეონეს წიაღისეულის მოპოვების უახლეს კანონებში), გარკვეული მასშტაბის მოპოვების დროს ყველა მომპოვებელს ეკისრება ვალდებულება, გააჩნდეს თემის განვითარების შეთანხმებები. თუმცა, კანონმდებლობა მის ძალაში შესვლამდე არსებული საქმიანობების მიერ რეგულაციების შესრულების დაწყების თარიღს არ უთითებს; ფაქტობრივად, კანონის ძალაში შესვლისთანავე ამ სუბიექტებს ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ თემის განვითარების შეთანხმებები. შესაბამისად, რეგულატორს ენიჭება უფლებამოსილება, განსაზღვროს, თუ როდის დაიწყოს სააღსრულებო მოქმედებები. ზემოაღნიშნული მიდგომა მოქნილობის დიდ შესაძლებლობებს იძლევა, თუმცა ზოგიერთმა მარეგულირებელმა აღსრულების ღონისძიებების დაწყებას, შესაძლოა, თავი აარიდოს.

ახალი კანონის ფუნდამენტური ბუნება „თამაშის წესების“ ტრანსფორმაციაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველი კანონის ცვლილება აზრს კარგავს. ქვეყნის მიერ თავის ახალ კანონში თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებით მოთხოვნის დაწესების განმაპირობებელი პოლიტიკის პრინციპია ის გარკვეული მოლოდინები, რაც მოსახლეობას თემის განვითარებასთან დაკავშირებით აქვს, რომელიც, თავის მხრივ, ახალი სისტემის (და არა ძველის) მიხედვით უნდა განხორციელდეს. ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ მომპოვებელს თემის განვითარების საკითხზე

უკვე გააჩნია მიდგომები, მან უნდა უზრუნველყოს ახალი კანონის მოთხოვნებთან ამ მიდგომების შესაბამისობა.

32.5.6 თემის განვითარების შეთანხმების სამართლებრივი ეფექტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, მომპოვებელ კომპანიებსა და თემებს შორის შეთანხმებებმა მრავალგვარი ფორმა შეიძლება მიიღოს. კანონი, რომელიც თემის განვითარების შეთანხმების არსებობას მოითხოვს, ნათლად განმარტავს ამგვარი შეთანხმების სამართლებრივ ბუნებასაც. თემის განვითარების შეთანხმება, როგორც ეს მოცემულ **სტატიაშია** განსაზღვრული, სამართლებრივად მხოლოდ ხელშეკრულებას წარმოადგენს და შესაძლოა, აღსრულდეს უფლებამოსილ სასამართლოსთან მიმართვის შედეგად.

32.5.7 წიაღისეულის მოძიების/მოპოვების უფლების გადაცემის ეფექტი

წიაღისეულის მოპოვების ინდუსტრიის პროექტები, როგორც წესი, რამდენიმე ფაზას გადის, მათ შორისაა, მოძიება, განვითარება, ექსტრაქცია, რეაბილიტაცია და დახურვის შემდგომი პერიოდი. მრავალი პროექტისთვის, სხვადასხვა ფაზაში მინიჭებული უფლებების არსებობის ფაქტი შესაძლოა შეიცვალოს. აღნიშნული განსაკუთრებით მოძიების ფაზიდან განვითარების ფაზაზე ტრანზიციის პროცესს ეხება. კანონის მიზანია, განსაზღვროს, თუ რომელ ფაზაშია აუცილებელი, დაიდოს თემის განვითარების შეთანხმება, ხოლო, მეორე მხრივ, დააწესოს ვალდებულება, რომ კომპანიის მიერ დადებულ შეთანხმებას მემკვიდრე კომპანიამაც პატივი სცეს. ბევრი კანონი, რომელიც თემის განვითარების შეთანხმების არსებობას ითხოვს, ამ ვალდებულებას განვითარების ეტაპზე აწესებს. თემის განვითარების შეთანხმების დადება მოძიების ფაზაში არაპრაქტიკულია, ვინაიდან ამ ეტაპზე რესურსის ბუნება და მდებარეობა უცნობია.

32.6 დასკვნები

თემის განვითარების შეთანხმების რეგულირება მთავრობების ხელში თემის დონეზე სარგებლის მიღწევის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. ზოგიერთმა მთავრობებმა შესაძლოა, პირდაპირი აქცენტი თემის განვითარებაზე არ გააკეთონ იმ მოლოდინით, რომ თემი, რომელიც წიაღისეულის მოპოვების ადგილთან ახლოს ცხოვრობს, ისედაც ისარგებლებს პროექტის ფარგლებში დასაქმებითა თუ პროექტთან დაკავშირებული სხვა შესაძლებლობებით. ბევრ მომპოვებელ კომპანიას აქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები, რომელთა ნაწილი მაინც თემის განვითარებაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული. მეორე მხრივ, სხვა ქვეყნები ამჯობინებენ, რომ პროექტთან პირდაპირი კავშირის საშუალებით თემის მიერ სარგებლის მიღების სანაცვლოდ, თემმა პროექტით გამომუშავებული ფისკალური შემოსავლების ნაწილი მიიღოს.²¹ თემის განვითარების შეთანხმების საკითხებზე კანონმდებლობის ფართო გამოყენება შედარებით ახალი ფენომენია და სათემო დონეზე სარგებლის მიღწევის ნაწილში ამგვარი შეთანხმებების ეფექტიანობის საკითხი ჯერ კიდევ დასადგენია. თუმცა, კომპანიების/პროექტების მიერ სრულიად ნებაყოფლობითი ქმედებებისგან განსხვავებით, თემის განვითარების შეთანხმებასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნები მნიშვნელოვნად ამცირებს თემის მდგრადი განვითარების ბარიერებს. იმ შემთხვევაში, როდესაც თემის განვითარების

შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ისეთი მწყობრია, როგორც ეს ოტოს (2010, 2017) მიერ არის მოცემული, მას შეუძლია, სავალდებულო პროცესებისთვის, დამტკიცებისთვის, მონიტორინგისა და აღსრულებისათვის მკაფიო ჩარჩო გაწეროს. ზემოაღნიშნული პრობლემური იქნებოდა იმ მიდგომის შემთხვევაში, რომელიც არ ითვალისწინებს მოპოვებითი საქმიანობის თემის განვითარების ნაწილში რეგულირებას. თემის განვითარების შეთანხმების მიმართულებით რეგულირების მიდგომის ზოგიერთი უპირატესობა წიაღისეულის მოპოვების იმგვარ კანონთან მიმართებით, რომელიც თემის განვითარების საკითხებზე დუმს, შემდეგში მდგომარეობს:

- მომპოვებლის, თემებისა და მთავრობის როლები და პასუხისმგებლობები უფრო ნათლად ყალიბდება;
- თემები, რომლებსაც განვითარების მხარდაჭერის მიღების უფლებამოსილება აქვთ, იდენტიფიცირებადნი არიან;
- უფლებამოსილი თემები მომპოვებელთან დადებენ წერილობით, აღსრულებად ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს განვითარებასთან დაკავშირებით მათ უფლებებსა და ვალდებულებებს;
- თემის წევრთა მოლოდინების შეთავსება შესაძლებელი იქნება დაფინანსების პრაქტიკულ დონესთან;
- მომპოვებლებს ექნებათ ინფორმაცია იმ წლიური დაფინანსების მინიმალური დონის შესახებ, რომელიც მათ განვითარებაზე უნდა გამოყოფს;
- თემის განვითარების შეთანხმების მინიმალური შინაარსის სახელმძღვანელო მითითებები უზრუნველყოფს, რომ არსებითი საკითხები დაფარული იქნება;
- საჩივრებისა და დავის გადაწყვეტის ფორმალური მიდგომების ჩამოყალიბება შესაძლებელი ხდება;
- განვითარების ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა მაღალია იმდენად, რამდენადაც ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა ჯარიმები, სანქციები ან წიაღისეულის მოპოვების უფლების გაუქმება გამოიწვიოს, ისევე, როგორც სახელშეკრულებო სამართლის შესაბამისად, სამოქალაქო წესით სასამართლოში სარჩელის შეტანა.

თემის განვითარების შეთანხმების მოთხოვნის რეგულირების ერთ-ერთ უარყოფით მხარეს მარეგულირებელი ორგანოსთვის ადმინისტრაციული ტვირთის შესაძლო დაკისრება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს პერსონალის დაქირავება და შესაბამისი გადამზადებითა და რესურსებით მათი უზრუნველყოფა.

მიუხედავად ამისა, კანონით მოთხოვნილი თუ ნებაყოფლობით დადებული თემის განვითარების შეთანხმება არ არის იმის გარანტია, რომ ეკონომიკური ბუმის და უკუსვლის ციკლი, რომელსაც მაღაროს დახურვის შემდეგ თემი განიცდის, თავიდან იქნება აცილებული; თუ შეთანხმება მოიცავს ისეთ ამოცანებს, რომელიც მდგრად განვითარებას ეხება, ჩნდება მოლოდინი, რომ მაღაროს დახურვას უფრო ნაკლები ზეგავლენა ექნება იმ შემთხვევისგან განსხვავებით, როდესაც თემის განვითარების შეთანხმება არ არსებობს. მომპოვებლებს ყოველთვის ჰქონდათ შესაძლებლობა, მხარი დაეჭირათ თემის განვითარებისათვის. მთავრობის წინაშე კი დგას

საკითხი, თუ რამდენად საკმარისად თვლის მომპოვებლებისათვის განვითარების მხარდაჭერის შეთავაზებებს *ad hoc* საფუძველზე, თუ მსგავსი მხარდაჭერა კანონის მიერ უნდა იყოს მოთხოვნილი და რეგულირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

AMLA (African Mining Legislation Atlas) (n.d.a). ‘Article 130, Code Minier 2011, Loi L/2011/006/CNT (Guinea)’. Article 130, Code Minier 2011, Loi L/2011/006/CNT (Guinea). მისაწვდომია: <http://www.a-mla.org>.

AMLA (African Mining Legislation Atlas) (n.d.b). African Mining Legislation Atlas. მისაწვდომია: <http://www.a-mla.org>.

ATNS (Agreements, Treaties and Negotiated Settlements Project) (n.d.). ‘ATNS Database’. მისაწვდომია: <http://www.atns.net.au>.

Brereton, D., J. Owen, and J. Kim (2011). ‘Good Practice Note—Community Development Agreements’. St Lucia: Centre for Social Responsibility in Mining, University of Queensland. მისაწვდომია: http://www.eisourcebook.org/cms/files/csr良好practice_notes_on_cdas_document_final_260911.pdf.

Crowson, P. (2003). *Astride Mining: Issues and Policies for the Minerals Industry*. London: Mining Journal Books.

Crowson, P. (2007). ‘Adding Public Value: The Limits of Corporate Responsibility’. Oxford: Oxford Policy Institute.

Dupuy, K. (2014). ‘Community Development Requirements in Mining Laws’, *The Extractive Industries and Society*, 1(2): 200–15.

Evans, G., J. Goodman, and N. Lansbury (2001). *Moving Mountains: Communities Confront Mining and Globalisation*. Otford, New South Wales: Mineral Policy Institute and Otford Press.

Evans, G., G. Russell, and R. Sullivan (2001). ‘An International Regulatory Framework?’ in G. Evans, J. Goodman, and N. Lansbury (eds), *Moving Mountains: Communities Confront Mining and Globalisation*, 207–22. Otford, New South Wales: Mineral Policy Institute and Otford Press.

Gibson, G. and C. O’Faircheallaigh (2010). ‘IBA Community Toolkit: Negotiation and Implementation of Impact and Benefit Agreements’. Toronto: Gordon Foundation. მისაწვდომია: https://www.foa.ca/afoadocs/L3/L3a%20-%20IBA_toolkit_March_2010_low_resolution.pdf.

ICMM (2005). *Community Development Toolkit*. London: ICMM.

ICMM (2011). *Mining: Partnerships for Development Toolkit*. London: ICMM. მისაწვდომია: <http://www.icmm.com/mpd>.

ICMM (2012). *Community Development Toolkit—Revised*. London: ICMM. მისაწვდომია: <https://www.icmm.com/engb/publications/mining-and-communities/community-development-toolkit>.

ICMM (2013). *The Mining Sector in Brazil: Building Institutions for Sustainable Development*. London: ICMM.

ICMM (n.d.). ‘ICMM 10 Principles: Principle 9’. მისაწვდომია: <https://www.icmm.com/en-gb/about-us/member-commitments/icmm-10-principles/icmm-principle-9>.

Macdonald, C. (2017). 'The Role of Participation in Sustainable Community Development Programmes in the Extractives Industries', WIDER Working Paper 2017/28. Helsinki: UNU-WIDER.

Miningfacts.org (2012). 'What Are Impact and Benefit Agreements (IBAs)?' Vancouver: Fraser Institute. მისაწვდომია: [http://www.miningfacts.org/Communities/What-are-Impact-and-Benefit-Agreements-\(IBAs\)/](http://www.miningfacts.org/Communities/What-are-Impact-and-Benefit-Agreements-(IBAs)/).

MMSD (2002). Breaking New Ground. London: Mining, Minerals and Sustainable Development Project/IIED. მისაწვდომია: <http://pubs.iied.org/pdfs/G00910.pdf>.

O'Faircheallaigh, C. (2012). 'Community Development Agreements in the Mining Industry: An Emerging Global Phenomenon', Community Development, 44(2): 222–38. მისაწვდომია: <http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/15575330.2012.705872>.

Otto, J. M. (2010). 'Mining Community Development Agreements: Source Book (Vol. 4): Community Development Agreement Model Regulations and Example Guidelines'. Washington, DC: World Bank. მისაწვდომია: <http://documents.worldbank.org/curated/en/2010/06/16798660/mining-community-development-agreements-source-bookvol-4-4-community-development-agreement-model-regulations-example-guidelines>.

Otto, J. M. (2017). 'How Do We Legislate for Improved Community Development?' WIDER Working Paper 2017/102. Helsinki: UNUWIDER. მისაწვდომია: <https://www.wider.unu.edu/publication/how-do-we-legislate-improved-community-development>.

Penagos, M. D., J. Mandelbaum, and P. Toledano (2014). 'Requirements for Community Development Agreements in Mining Laws'. მისაწვდომია: <http://ccsi.columbia.edu/files/2015/01/Community-Development-Requirements-in-Mining-Laws-Matrix-November-2014-.pdf>.

Richards, J. (ed.) (2009). Mining, Society and a Sustainable World. Heidelberg: Springer.

Sarkar, S., A. Gow-Smith, T. Morakinyo, R. Frau, and M. Kuniholm (2010). 'Mining Community Development Agreements—Practical Experiences and Field Studies'. Washington, DC: Environmental Resources Management for the World Bank. მისაწვდომია: <http://www.sdsg.org/wp-content/uploads/2011/06/CDA-Report-FINAL.pdf>.

Schott, J., F. M. Conteh, N. King, D. Desai, and N. Menzies (2015). 'Development from the Ground up? Mining Community Development Agreements in Sierra Leone.' World Bank 'Governance for Development' blogsite. მისაწვდომია: <http://blogs.worldbank.org/governance/development-ground-mining-community-development-agreements-sierra-leone>.

Sosa, I. and K. Keenan (2001). Impact Benefit Agreements between Aboriginal Communities and Mining Companies: Their Use in Canada. Toronto: Canadian Environmental Law Association & Environmental Mining Council of British Columbia. მისაწვდომია: <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.473.2025&rep=rep1&type=pdf>.

World Bank (2012). Mining Development Agreements Sourcebook. Washington, DC: World Bank. მისაწვდომია: http://siteresources.worldbank.org/INTOGMC/Resources/mining_community.pdf.

¹ წიაღისეულის მოპოვების საკითხის შესავლის, ადგილობრივ და მდგრად განვითარებაში მისი როლისა და პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის საკითხებზე, ავტორი რეკომენდაციას უწევს ევანსსა და სხვებს (2001), რიჩარდს (2009), ქროუსონსა (2003, 2007) და მოპოვების, სასარგებლო წიაღისეულისა და მდგრადი განვითარების (MMSD) პროექტთან დაკავშირებით სხვადასხვა პუბლიკაციებს (IIED n.d.).

² მდგრადი განვითარების პრინციპების სრული ჩამონათვალისთვის, იხ. ICMM (n.d.).

³ აღნიშნულის კარგი მაგალითია ბრაზილია. სიტუაციის დეტალურად აღწერისათვის, იხ. ICMM (2013).

⁴ ძირითადად დაფუძნებულია დუპუის (2014) შრომებზე.

⁵ წინამდებარე **სტატიის** ავტორი იყო თემის განვითარების შეთანხმების მსოფლიო ბანკის სამოდელო რეგულაციების წამყვანი ავტორი (Otto 2010).

⁶ წიაღისეულის მოპოვების სამოდელო კანონის თემის განვითარების შეთანხმების რეგულაციებზე წვდომა შესაძლებელია ოტოს (2017) დანართში.

⁷ კანადაში, „ზეგავლენისა და სარგებლის შეთანხმებების“ გაფორმება მკვიდრ მოსახლეობასა და იმ კომპანიებს შორის, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულს მოსახლეობის მიწიდან მოიპოვებენ, ფართოდ გავრცელებულია. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შეთანხმებების დადება კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, 2012 წელს მათმა რიცხვმა 180 -ს გადააჭარბა. Miningfacts.org (2012) ზეგავლენისა და სარგებლის შეთანხმებას განმარტავს, როგორც „ფორმალურ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს პროექტის ზეგავლენას, ორივე მხარის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, ისევე, როგორც ოპერაციიდან დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების გზით მკვიდრი მოსახლეობის მიერ სარგებლის გადანაწილების საკითხს“. სოსა და კინანი (2001) კანადაში ზეგავლენისა და სარგებლის შეთანხმების საინტერესო მიმოხილვას გვთავაზობენ.

⁸ იხ., მაგალითად, შეთანხმებების, ხელშეკრულებებისა და მოლაპარაკებების გზით რეგულირების პროექტების კოლექცია (ATNS n.d.).

⁹ გიბსონი და ო'ფერჩილაი (2010) გვთავაზობენ თემის განვითარების შეთანხმების მოლაპარაკებების რჩევებს, მათ შორის, მოლაპარაკებებში ჩართულ სუბიექტებთან დაკავშირებით, მოლაპარაკებების დეტალური ინსტრუმენტების სახით.

¹⁰ ბუგენვილის წიაღისეულის მოპოვების 2015 წლის კანონი, სექცია 123(10).

¹¹ თემის განვითარების შეთანხმების პროცესებისა და მონაწილეების შესახებ შემთხვევების შესწავლისათვის, იხ. სარკარი და სხვები (2010).

¹² სექცია 68, წიაღისეულის მოპოვების კანონი, 2012 (სამხრეთ სუდან).

¹³ სექცია 139, მადარობისა და სასარგებლო წიაღისეულის კანონი, N 12, 2009 (სიერა ლეონე).

¹⁴ აღნიშნული წარმოადგენს ოქსფორდის ლექსიკონების მიერ ტერმინი - „თემის“ განმარტებას, იხ. http://www.oxforddictionaries.com/us/definition/american_english/community (წვდომა: 15 აპრილი, 2016).

¹⁵ სექცია 139, მადარობისა და სასარგებლო წიაღისეულის კანონი, N 12, 2009 (სიერა ლეონე).

¹⁶ სექცია 19.2, მოზამბიკის წიაღისეულის მოპოვების 2011 წლის სამოდელო შეთანხმება (გამოქვეყნებული არ არის).

¹⁷ სექცია 193(5), ნიგერიის სასარგებლო წიაღისეულისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების რეგულაციები, S.I. 47, 2011.

¹⁸ მუხლი 73, 2010 წლის N 22 კანონის აღმასრულებელი რეგულაცია მადარობისა და კარიერების შესახებ (იემენი).

¹⁹ სექციები 2 და 123, ბუგენვილის წიაღისეულის მოპოვების კანონი, 2014 (ბუგენვილის ავტონომიური რეგიონი, პაპუა-ახალი გვინეა).

²⁰ სექციები 91 და 92, წიაღისეულის მოპოვების რეგულაციები, 2015 (ბუგენვილის ავტონომიური რეგიონი, პაპუა-ახალი გვინეა).

²¹ მაგალითები, როდესაც ადგილობრივ თემებზე პროექტის ფისკალური შემოსავლების ნაწილის ალოკაცია კანონით და არა საბიუჯეტო პროცესების შედეგად ხდება: აშშ-ში - ქონების გადასახადი, პერუში - სამემოსავლო გადასახადის კანონით გათვალისწინებული ნაწილი; ბრაზილიაში - შემოსავლის კანონით გათვალისწინებული ნაწილი.